ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 83

"29" მარტი 2019 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და ფიზიკურ პირ ნანული ჭიაურელს (პ/ნ: 01024043431) შორის 2010 წლის 20 ივლისს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით ნაკისრი ვალდებულებების 2015 წლის 26 იანვრიდან 2017 წლის 28 თებერვლამდე შეუსრულებლობისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან ნანული ჭიაურელის (პ/ნ: 01024043431) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის ,,დ.ვ'' ქვეპუნქტის, ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, "2010 წლის 20 ივლისის იჯარის ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით ნაკისრი ვალდებულებების 2015 წლის 26 იანვრიდან 2017 წლის 28 თებერვლამდე შეუსრულებლობისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან ნანული ჭიაურელის (პ/ნ: 01024043431) გათავისუფლების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 21 თებერვლის N19.194.226 განკარგულების შესაბამისად, 2010 წლის 20 ივლისის იჯარის ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების მე-2 მუხლის 2.1 და 2.2 პუნქტებით ნაკისრი ვალდებულებების, 2015 წლის 26 იანვრიდან 2017 წლის 28 თებერვლამდე შეუსრულებლობისათვის დაკისრებული 764 (შვიდას სამოცდაოთხი) ლარის ოდენობით პირგასამტეხლოსგან ნანული ჭიაურელის (პ/ნ: 01024043431) გათავისუფლების თაობაზე.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე